საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **2010 წლის 11 ოქტომბერი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 13

2010-2011 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტისა და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს:
სრული პროფესორი - 200 საათი;
ასოცირებული პროფესორი - 250 საათი;
ასისტენტ-პროფესორი - 320 საათი;

2. მუსიკის ფაკულტეტის პროფესორთა და სპეციალისტთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს:
საშემსრულებლო მიმართულებით:
სრული პროფესორი - 600 საათი;
ასოცირებული პროფესორი - 650 საათი;
ასისტენტ-პროფესორი - 700 საათი;
კონცერტმაისტერი -800 საათი;

მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის მიმართულებით:
სრული პროფესორი - 300 საათი;
ასოცირებული პროფესორი - 350 საათი;
ასისტენტ-პროფესორი - 400 საათი;

3. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე დასაშვებია პროფესორის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 10 (ათი) საათით ნაკლებს ან მეტს მოიცავდეს. დატვირთვაზე ზევით 10 (ათ) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება.

4. მუსიკის ფაკულტეტზე დასაშვებია პროფესორის დატვირთვის ზღვრული ოდენობა 20 (ოცი) საათით ნაკლებს ან მეტს მოიცავდეს. დატვირთვაზე ზევით 20 (ოც) საათამდე პროფესორს არ აუნაზღაურდება, ხოლო დეკანის დატვირთვა 1 (ერთ) საშტატო ერთეულზე დასაშვებია 50 (ორმოცდაათი) საათით ნაკლები.

5. საშტატო ერთეულის სავალდებულო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:

ლექცია; პრაქტიკული;

საბაკალავრო/დიპლომირებული (დიპლომი) ნაშრომის ხელმძღვანელობა:

საშემსრულებლო მიმართულებით - 15 (თხუთმეტი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;

თეორიული მიმართულებით - 10 (ათი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;

სამსახიობო სპეციალობაზე ჯგუფზე -100 საათი;

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა:

თეორიული მიმართულებით - 20 (ოცი) საათი;

საშემსრულებლო მიმართულებით - 40 (ორმოცი) საათი;

პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტებისა და საათების მიხედვით.

6. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა, სახვითი, სასცენო და კონო-ტელე ხელოვნების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და მუსიკის ფაკულტეტებმა.

8. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

9. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**